# ოთხი წარმატებული გოგონას ერთი არჩევანი

**ადამიანებს ბევრი განმასხვავებელი შეიძლება ჰქონდეთ, შესაძლოა არ ცხოვრობდნენ ერთ ქალაქში; არ დადიოდნენ ერთ ქუჩაზე; არ უყვარდეთ ერთი მუსიკა, თუმცა არსებობს არჩევანი, რომელიც ოთხ წარმატებულ ახალგაზრდა გოგონას აერთიანებს, ათვლის წერტილის ერთი პუნქტითა და ერთმანეთისგან განსხვავებული საინტერესო ისტორიებით.**



მარიამ დვალიშვილი

„საქართველოს უნივერსიტეტის" სამართალმცოდნეობის პროგრამის ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, მარიამ დვალიშვილმა მაგისტრის ხარისხი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის განხრით მოიპოვა. აგრეთვე, დაფუძნებული აქვს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ლაიონს ქლაბის" (Lions Club) ქართული წარმომადგენლობის ფილიალი – „ქემფუს ლაიონს ქლაბ თბილისი". ახლა კი მარიამი სამშენებლო კომპანია „ანაგში" იურიდიული დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსის პოზიციაზეა დასაქმებული.

**დღეს ბევრის არჩევანი იურისპრუდენციაა. რა მიგაჩნიათ მთავარ ძალად იმისათვის, რომ ადამიანი ამ სფეროში გამორჩეულ პროფესიონალად შედგეს?**

*(მარიამი):* დღეს, იურისპრუდენციაში, ისევე, როგორც სხვა სფეროების უმრავლესობაში, ქართულ ბაზარზე სამწუხაროდ პროფესიონალი კადრების ნაკლებობაა. ხშირად ცდილობენ ზოგადი განათლებით დაკმაყოფილდნენ და სფეროს კონკრეტიზაცია არ მოახდინონ, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ამა თუ იმ პირის პროფესიონალიზმზე. მთავარ ძალად მაინც მონდომება და შემართება მიმაჩნია. დამეთანხმებით, ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ყველაფრის სწორად აღქმა და გაგება.

**ლაკო გრიგალაშვილი ფულბრაითის დაახლოებით ერთწლიანი, მრავალეტაპიანი შესარჩევი პროცესის შემდეგ, 2-წლიან სამაგისტრო პროგრამას ფინალისტის სტატუსით, კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით, Syracuse University-ში სწავლობს. თუმცა, ფულბრაითამდე იყო „საქართველოს უნივერსიტეტის" მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა, სადაც მიღებული ცოდნის საფუძველზე, ლაკო 2014 წლიდან ვებდეველოპერის პოზიციაზე მუშაობდა, ხოლო 2016 წლიდან მუშაობა „დელოიტში", რისკების დეპარტამენტში IT-რისკების კონსულტანტის პოზიციაზე განაგრძო.**

**როგორც ლაკო აღნიშნავს, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ყოველთვის იყოს „საქართველოს უნივერსიტეტის" წარმატებულ კურსდამთავრებულთა სიაში.**

**როგორი იყო პირველი ნაბიჯები კარიერაში?**

*(ლაკო):* მე-4 კურსიდან ჩემი პროფესიით



ლაკო გრიგალაშვილი

მუშაობა შემართებით დავიწყე. მანამდე იყო სტაჟირება ერთ-ერთ პრესტიჟულ კომპანიაში. უნივერსიტეტმა მომცა საკმარისი აკადემიური საფუძველი იმისათვის, რომ ჩემი თავის რეალიზება განმეხორციელებინა. პირველსავე ნაბიჯს მომზადებული დავხვდი, შემდეგ წინსვლა დროსა და განვითარებასთან ერთად მოვიდა.

**ლაკოს მსგავსად, „საქართველოს უნივერსიტეტის" ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული, მარიამ კვანტალიანიც განათლების მიღებას საზღვარგარეთ აგრძელებს. მარიამის კარიერა მესამე კურსიდან დაიწყო. იგი ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში სრულ განაკვეთზე მუშაობდა, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ, მუშაობა მსოფლიოს წამყვან საკონსულტაციო კომპანია „დელოიტში" გააგრძელა. პარალელურად, აბარებდა ACCA-ის გამოცდებს, სადაც 3 მიმართულებაში სესიის Top achiever-ი გახდა. ორწლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ, მარიამმა აშშ-ის მთავრობის „ფულბრაითის" პროგრამის სრული დაფინანსება მიიღო და დღეს უკვე მაგისტრატურას ნიუ-იორკში ეუფლება.**


ნუცა ავალიშვილი

**კარგ აკადემიურ მოსწრებაზე ზრუნვის გარდა, რას ურჩევდით ახალგაზრდებს წინსვლისთვის?**
*(მარიამი):* აღვნიშნავდი, რომ „საქართველოს უნივერსიტეტში" სტუდენტური წლების პერიოდში შეძენილი კონტაქტები და მრავალფეროვანი მოხალისეობრივი გამოცდილება მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა პირადად ჩემი შემდგომი კარიერული წარმატებისთვის. მაღალი ხარისხის აკადემიურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ, ბევრი მიმართულებით განავითარონ თავიანთი უნარ-ჩვევები და იყვნენ კონკურენტუნარიანი პროფესიული განვითარების შემდგომ საფეხურებზე.

**ნუცა ავალიშვილს 14-წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს და ამჟამად კომპანია „გურიელის" კომერციული დირექტორია. ჯერ კიდევ 17 წლის ნუცამ და მისმა მეგობარმა – მარიამმა, ივენთკომპანია დაარეგისტრირეს და იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარე ღონისძიება – ყვავილების ფესტივალი ჩაატარეს. პირველი ასეთი წარმატების შემდეგ, ნუცამ „საქართველოს უნივერსიტეტში" საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებაზე სამაგისტრო ნაშრომი დაიცვა და სარეკლამო კომპანია „მეტრო სტუდიაში" ივენთების მენეჯერი გახდა.**


მარიამ კვანტალიანი

**დამკვეთის პოზიციაში ყოფნის სურვილი უფრო და უფრო გაიზარდა, რის გამოც, რეკლამიდან კომპანია „თელიან ველში" მომხმარებლის დამოკიდებულებისა და განწყობის კვლევა, ახალი პროდუქტების შექმნა, კომუნიკაციებისა და გაყიდვების მიმართულება ჩაიბარა. მისი პროფესიული ექსპერიმენტების სია ამით არ სრულდება – 2017 წელს დიდი კომერციიდან შორს, საქართველოს ერთ-ერთ მაღალ წერტილში გაემგზავრა და გუდაურში კაფე გახსნა. როგორც თვითონ ამბობს, თითქმის არ ავიწყდება კაფეს გახსნის პირველი კვირა და უწყვეტი რიგი საბაგიროდან კაფემდე.**

**14-წლიანი გამოცდილება და უამრავი სამუშაო პოზიცია... პრაქტიკული გამოცდილების გარდა, რა ისწავლება დროსთან ერთად?**
*(ნუცა):* ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დროსთან ერთად ისწავლება, არის საკუთარი შესაძლებლობების გაღრმავება: იწვრთნება ნებისყოფა, ისწავლება, რომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოსთხოვო ყველაზე მეტი; გივითარდება სწრაფი რეაგირების უნარი; გრძნობ, რა მოსწონს შენს სამუშაო სივრცეში მყოფ პერსონალსა თუ მომხმარებელს, რა ახარებთ, რა სჭირდებათ, და შენი თავდაჯერებაც იზრდება.

ოთხივე გოგონასთვის წარმატების საფუძველი განათლება გახდა. დიდი ხნის წინ მიღებულმა გადაწყვეტილებამ – აერჩიათ სწორი სასწავლო გარემო, მათი მომავალი შეცვალა და წარმატების გარანტად აქცია.
მარიამს, ლაკოს, ნუცას და მარიამს „საქართველოს უნივერსიტეტი" აერთიანებთ და შედიან კურსდამთავრებულთა იმ სიაში, რომელთა 93% დასაქმებულია. OK!

www.ug.edu.ge